№ 51 მარტი 9, ხუთშაბათი 1889 მარტი 9, ხუთშაბათი № 51

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889 1877—1889

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ქართული კონცერტი

კვირას, 12 მარტს

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო

გაჰმართავს სრულიად

ახალ სიმღერების

## კონცერტს

ბ-ნ ა. ი. ბერიძის დირიჟორობით.

ამ კონცერტში ერთს განყოფილებას შეასრულებს ბ-ნ აღნიაშვილის მიერვე ახლად შედგენილი

კეთილშობილ ქალთა ხორო,

რომელიც შესდგება 18 ქართულად ჩაცმულ-დახურულ ქართველ მომღერალ-ქალთაგან.

ქართული თეატრი

შაბათს, 11 მარტს

არტისტი

ქ. ყიფიანი და ბ. ბალანჩივაძე

გაჰმართავენ

წარმოდგენას და კონცერტს

I

## მასქარადი

დრამა 4 სურათად, თხზ. ლერმონტოვისა

II

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ-ნი საფაროვისა, ამიროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა; ბბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, გუნია, რატილი, ბალანჩივაძე, ბურჯანაძე და ხორო.

ქართული რომანსები და სიმღერა.

ორკესტრი სხვათა შორის დაუკრავს ბ. ბალანჩივაძის მიერ შედგენილს ახალს

პოპპური.

ტფილისი, 8 მარტი

გუშინ უკანასკნელი კრება მოხდა კომიტეტისა, რომელიც მოწვეული იყო ბ-ნ გუბერნატორისაგან საადგილ-მამულო გადასახადის გაწერის თაობაზედ. ამ კრებაზედ დაესწრნენ თვითონ გუბერნატორი, გუბერნიის მარშალი, ვიცე-გუბერნატორი, რამდენიმე განკებ მიწვეული მამულის პატრონი, წევრნი გუბერნიის საკლებო მართველობისა და სხვანი. სხვათა შორის მიწვეული იყო წევრი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა კრუზე. ამ კრებამ განიხილა სიები მამულებისა და დაადგინა, რომ სიმართლე ითხოვსო ტფილისის გუბერნია დაყოფილ იქმნას რამდენსამე ნაწილად მამულების ავკარგიანობის მიხედვითა და თვითეულს ნაწილს დესეტინობაზედ შეეწეროს თავისი შესაფერი ხვედრი გადასახადი მეტ-ნაკლებობითაო. კომიტეტმა წაიძღვარა რა ეს აზრი, სამართლიანად სცნა მამულის ავკარგიანობის მიხედვით დაიყოს ტფილისის გუბერნია ცხრა ფარდად და თვითეულს ფარდაში დესეტინაზედ ცალკე შესახვედრი გადასახადი დაინიშნოს. ამ სახით შედგა სქემა, საცა ნაჩვენებია რა ფარდი რამდენი დესეტინაა მთელს გუბერნიაში და თვითეულს ფარდში დესიატინაზედ რამდენი გადასახადი შეეწერა. აი იგი სქემა:

| ფარდი | რამდენი დესეტინაა | რა შეხვდა დესეტინაზედ | |
|---|---|---|---|
| 1 — | 13,813 — | $10\frac{1}{4}$ | კაპ. |
| 2 — | 34,189 — | $6\frac{1}{2}$ | — |
| 3 — | 20,607 — | 5 | — |
| 4 — | 44,562 — | 4 | — |
| 5 — | 116,265 — | $3\frac{1}{2}$ | — |
| 6 — | 256,786 — | 3 | — |
| 7 — | 151,750 — | $1\frac{1}{2}$ | — |
| 8 — | 173,939 — | $1\frac{1}{4}$ | — |
| 9 — | 287,658 — | 1. | — |

პირველს ფარდში იკუთვნება უფრო ვენახები, საბოსტნეები, საბაღო ადგილები და განსაკუთრებით მომცემი სახნავ-სათესი მიწები.

თუმცა მთელს ტფილისის გუბერნიაში მამულის ავ-კარგიანობის მიხედვით ცხრა ფარდი გამოარკვიეს, მაგრამ თვითეულ მაზრაში-კი ცალკე მარტო სამი ფარდი დასდეს. პირველს ფარდში მოქცეულია მაზრის საუკეთესო მიწები, მეორეში—შუა ღირსებისა და მესამეში—მდარე მიწები. მაზრაში თვითეულის ფარდის მიწა მოექცა მთელის გუბერნიის სხვა-და-სხვა ფარდში იმ სახით, რომ მაზრის ფარდის მიწა თავისის ღირსებით და ავ-კარგიანობით შეეწონა გუბერნიის ფარდსა და ზოგან ისე აღმოჩნდა, რომ მაზრაში პირველ ფარდის მიწა გუბერნიაში პირველ ფარდში-კი არა, სხვა რომელსამე ფარდში შეტანილ უნდა იქმნას. ამ რიგადვე მოექცნენ სხვა ფარდებსაც მაზრისას, ასე რომ, მაგალითებრ, ახალციხის მაზრაში არც ერთს ფარდში იმისთანა მამულები არ აღმოჩნდა, რომ პირველ ფარდში გუბერნიისაში ჩაეწეროს; დუშეთის მაზრაში არც ერთი იმისთანა მამული არ აღმოჩნდა, რომ გუბერნიის პირველ ფარდს უდრიდეს და სხვა ამ გვარად. გამოირკვია რა ფარდი მაზრისა გუბერნიის ფარდის კვალობაზედ, გაეწერა გადასახადიც იმოდენა, რაც შეხვედრილი აქვს გუბერნიას იმ ფარდის დესეტინაზე. ამ სახით სქემა ტფილისის გუბერნიის მაზრებისა წარმოადგენს იმას თუ—რა ფარდის მამული მაზრისა რამდენია და რომელს ფარდში ჩაგდებული გუბერნიაში და ამის კვალობაზედ რა გადასახადი უნდა შეხვდეს ამ გვარად გარკვეულს ფარდსა მაზრისას. აი ეს სქემა თვითეულის მაზრისა:

| | ფარდი მაზრისა. | რამდენი დესეტინაა. | რომელს ფარდს უდრის გუბერნიისას | დესეტინაზედ რამდენი კაპეიკი გადასახადი შეხვდება. |
|---|---|---|---|---|
| ტფილისისა | 1 | $3,142\frac{1}{2}$ | 1 | $10\frac{1}{4}$ |
| | 2 | 44,562 | 4 | 4 |
| | 3 | $71,760\frac{1}{2}$ | 7 | $1\frac{1}{2}$ |
| ბორჩალოსი | 1 | 34,189 | 2 | $6\frac{1}{2}$ |
| | 2 | 84,846 | 5 | $3\frac{1}{2}$ |
| | 3 | 173,939 | 8 | $1\frac{1}{4}$ |
| გორისა | 1 | 4,089 | 1 | $10\frac{1}{4}$ |
| | 2 | $171,759\frac{1}{2}$ | 6 | 3 |
| | 3 | 111,117 | 9 | 1 |
| თელავისა | 1 | 2,082 | 1 | $10\frac{1}{4}$ |
| | 2 | 11,601 | 6 | 3 |
| | 3 | 45,985 | 9 | 1 |
| სიღნაღისა | 1 | $1,908\frac{1}{2}$ | 1 | $10\frac{1}{4}$ |
| | 2 | $21,568\frac{1}{2}$ | 6 | 3 |
| | 3 | $48,964\frac{1}{4}$ | 9 | 1 |
| დუშეთისა | 1 | 31,419 | 5 | $3\frac{1}{2}$ |
| | 2 | $75,858\frac{1}{2}$ | 7 | $1\frac{1}{2}$ |
| | 3 | 1,348 | 9 | 1 |
| თიანეთისა | 1 | 2,591 | 1 | $10\frac{1}{4}$ |
| | 2 | 12,074 | 6 | 3 |
| | 3 | 38,464 | 9 | 1 |
| ახალციხისა | 1 | 20,607 | 3 | 5 |
| | 2 | 21,419 | 6 | 3 |
| | 3 | $341,199\frac{1}{2}$ | 9 | 1 |
| ახალქალაქისა | 1 | $18,364\frac{1}{2}$ | 6 | 3 |
| | 2 | 4,132 | 7 | $1\frac{1}{2}$ |
| | 3 | 7,600 | 9 | 1 |

ამ ანგარიშით გამოდის, რომ ორთა-შუა რიცხვით ტფილისის მაზრას ჰხვდება დესეტინაზედ გადასახადი $2\frac{33}{50}$ კაპ., ბორჩალოსას $2\frac{13}{25}$ კაპ., გორისას—$2\frac{33}{100}$ კაპ., თელავისას—$1\frac{7}{10}$ კაპ., სიღნაღისას—$1\frac{21}{25}$ კაპ., დუშეთისას—$2\frac{7}{100}$ კაპ., თიანეთისას—$1\frac{9}{10}$ კაპ., ახალციხისას—$2\frac{16}{25}$ კაპ. და ახალქალაქისას—$2\frac{11}{50}$ კაპ.

მთელმა კომიტეტმა თანახმად აღიარა, რომ ამ რიგით გაწერა გადასახადისა ცოტად თუ მეტად სამართლიანიაო. ჩვენც ვიტყვით, რომ იმ საბუთების ძალით, რაც ხელთა ჰქონდა კომიტეტს, ამაზედ უკეთ გაწერა არ შეიძლებოდა. ხოლო სამწუხარო ეს არის, რომ ამ კომიტეტს არც დრო ჰქონდა მიცემული და არც რაიმე სახსარი, რომ უკეთესი და უფრო უტყუარი საბუთები შეეკრიბა ამ დიდ საქმის უფრო სამართლიანად წარმართვისათვის. ამას ესეც უნდა დაემატოს, რომ უტყუარი საბუთები არ არის დავჯერებულ იმ რიცხვს დესეტინებისას, რომელსაც კომიტეტის განაჩენით ჰხვდება მთელი ჯამი გადასახადისა, მთელს გუბერნიაზედ საერთოდ გაწერილი. ჩვენა გვგონია, რომ ეხლანდელი რიცხვი დესეტინებისა ბევრად ჩამოუვარდება ნამდვილს რიცხვსა და ამის გამო დღეს იძულებულ იქმნა კომიტეტი თვითეულს დესეტინას მეტი შეახვედროს, ვიდრე შეხვდებოდა მაშინ, როცა ნამდვილი რიცხვი დესეტინებისა მთელს გუბერნიაში გამორკვეული იქნებოდა.

ესეა თუ ისე, დღეს ეს საქმე გუბერნიის მთავრობის მიერ ასე გადაწყდა, ასე დაბოლოვდა და დანარჩენი დამოკიდებულია უმაღლესს მთავრობაზედ, რომელსაც გასარჩევად წარედგინება კომიტეტის მიერ შედგენილი საადგილ-მამულო გად. სახადის სიები.

# ფელეტონი

## ძველი ზნე-ჩვეულებანი

„სადღეგრძელოსა", ანდაზა გამოცანათა, მისნობასა და სხ. თუმცა დღეს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა და ხშირად აზრიც-კი დაჰკარგვიათ, მაგრამ ეტნოგრაფიულ კულტურულის მხრით უმნიშვნელო არ არის. ყოველივე ესე ნაშთია წარსულის, ფრიად ძველის დროსი, საზოგადოდ იმ დროსი, როდესაც კაცს კულტურულის მხრით ერთი ნაბიჯი წინ წაუდგამს, როდესაც კაცს გაჰღვიძებია ნიჭი შედარებისა, ცხოვრების ყოველ მოვლენაზე დაფიქრებისა. ერთის სიტყვით, ანდაზა-გამოცანანი და სხვანი არიან ძეგლნი და ნაშთნი ძველის დროისა, ძველის, თავისებურის ფილოსოფიისა. ახალ დროს ამ გვარი მოვლენა აღარ იბადება. ანდაზა-გამოცანათ აღარავინ აღგენს და თუ ვინმემ მოიწადინა შედგენა, გამოდის უაზრობა, შეუფერებლობა. ეს ძველებური ფილოსოფია დიდს პატივში იყო თვით განათლებულ ევროპაშიაც, მთელს აზიის ერთა შორისაც, მაგრამ მათს შედგენას აღარავინ ეტანება, რადგან დღეს ახალი ფილოსოფია, ახალი მეცნიერება აღინასკვნა უფრო შეურყეველს ნიადაგზედ. და თუ დღეს ძველის ფილოსოფიის ნაშთები ისევ ჩვეულებაშია, ისევ ხმარებაშია, ეს იმიტომ, რომ „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესია", ერთხელ შემოღებულის და შეთვისებულის ჩვეულების დავიწყება ძნელია. მაგ., სადღეგრძელოების სმა, მოყვსისათვის სიკეთისა და სიცოცხლე-დღეგრძელობის სურვება განა რას უმატებს მას, განა დღეგრძელად ჰხდის. არა, არც ნამცეცადაც. მაგრამ რას იზამთ, ერთხელვე შემოსულა წესად და ჩვეულებად. სადღეგრძელო შემოსულა ძველს დროს. დასაწყისი მისი ეკუთვნის წარმართობის დროს. მაშინ საზოგადო ნადიმობის დროს ჰსვამდნენ ღმერთის სადიდებლად და მკვდართა საცხონებლად. ეს წესი შეითვისეს ქრისტიანებმაც. ხოლო კერპების მაგიერ ადიდებდნენ ქრისტესა, მარიამსა და სხ. იმ ძველ დროს პირველად ბერძნებში გავრცელდა სმა სადღეგრძელოებისა ცოცხალთათვის; მათგან შეითვისეს რომაელთაც და შემდეგ სხვა ხალხებმაც. რა დროიდგან შემოვიდა ჩვენში სუფრული «მრავალ-ჟამიერი», არა სჩანს, ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი საეკკლესიო საგალობლადაც ითვლება, უნდა ვსთქვათ რომ მისი გავრცელება საქართველოში ეკუთვნის ქრისტიანობის პირველ საუკუნოებსვე. იგი ეკკლესიიდგან, საცა მეფის სადიდებელ საგალობლად მიიღეს, გავრცელდა ხალხშიაც და ჩვენის სუფრის დამამშვენებელ საგალობლადაც შეიქმნა.

ანდაზები ჩვენში გავრცელებული ყოფილა ძველის დროიდგანვე. მაგ., ჩვენში არსებობს ანდაზა: „კაცი საცა დაიბადება, იმისი ბაღდადი იქ არის". ეს ანდაზა ეკუთვნის არა უგვიანეს მე-VIII—IX საუკუნისა, რადგან ბაღდადი აღყვავებულ იყო იმ დროში და შემდეგში-კი დაეცა. აქ ხალხის ფილოსოფია სამშობლოს სიყვარულს, მასში ცხოვრებას, მისთვის ერთგულებას აღარებს წარმატებულის ბაღდადის მცხოვრების სიყვარულს თავის ქვეყნისადმი. როგორც ბაღდადელი მოსიყვარულეა, ერთგულია თავისის აღყვავებულის ქალაქისა, ისე ყოველი კაცი უნდა იყოს თავისის სამშობლოსიო. ბაღდადი თუმცა დიდი ხანია დაეცა, მაგრამ ერთხელ შედგენილი და შეთვისებული ანდაზა ხალხს დღესაც არ დავიწყებია და ჰხმარობს ყოველ შემთხვევაში, როდესაც ჰსურს გამოთქმა მაღალ-მნიშვნელოვან, კულტურულ ხალხთაგან ცნობად აღიარებულ აზრისა, რომ ჩემი ბედნიერება და დიდება არის ჩემის ქვეყნის სიყვარულიო.

გამოცანა: „შვიდი ფიცარი, შვიდად შეკრული, ვერც მეფე გახსნის, ვერც მისი ჯარი» აგრეთვე ათიოდე საუკუნისა მაინც უნდა იყოს, რადგან ქრისტიანობა ჩვენში მეშვიდე საუკუნიდგან უკვე მტკიცედ მოჰფენოდა მთელს საქართველოს, რომელიც უკვე წმინდა ქრისტიანულ ქვეყანად ითვლება.

როგორც დაუვიწყარმა სერვანტესმა თვის თხზულებაში შეიტანა აუარებელი ანდაზები ევროპის ხალხთა (ბრუხარდტი—Культура Италіи), ისე ჩვენმა რუსთაველმა «ვეფხის-ტყაოსანში» მოაქცია დიდ-ძალი ანდაზები, მომასწავებელნი და მაჩვენებელნი ქართველთა ძველის-ძველ ფილოსოფიისა და კულტურისა. რომ იგი პოემა მოდღეღელიან დღემდე ხელით-ხელს საგოგმანებელ საუნჯედ ითვლება, ჩემის აზრით, აიხსნება იმ გარემოებით, რომ რუსთაველმა თავისი პოემის მაღალი აზრი ამოიღო და ხელოვნურად აღნასკვნა ხალხისავე ზნე-ჩვეულებიდამ, ხალხშივე არსებულ და შესისხლ-ხორცებულ ფილოსოფიიდამ. ამიტომაც მას ქალნი იგრევე ადვილად ითვისებდნენ და ზეპირად ჰგალობდნენ, როგორადაც კაცნი, როგორადაც წვრილნი, აგრეთვე დიდნი.

მისნობისა, შელოცვისა, კალანდობისა და მკითხაობის დასაწყისი იკარგება ისტორიის წყვდიადში. რაოდენადაც ხალხი გაუნათლებელია, იმდენად მეტად სწამს ეს ხელოვნებანი. თვით განათლებულ ევროპაში დღესაც ზოგიერთაგან სწამთ ეს მანქანებანი. მე-XIV—XV საუკუნოებში ხომ მთელი ევროპა დამორჩილებული ჰყვანდა მისნობა-კუდიანობას, ბოროტ სულთა მბრძანებლობის ქვეშ იყვნენ ხშირად მღვდელნიც და «ჰუმანისტებად» წოდებული კაცებიც (იხ. ბრუხარდი).

რასაკვირველია, ამ მხრივ არც საქართველოა წინ წასული. ზოგიერთ კუთხეში ჩვენის ქვეყნისა და თვით ტფილისშიაც-კი არიან მკითხავნი, მისნები, თუმცა ხალხს საზოგადოდ მათი არა სჯერა-რა, მაგრამ მაინც ეტანებიან, აკითხვინებენ. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, იმდენად გაუნათლებლობა, ველურობა არ არის, რამდენადაც «ჩვეულების რჯულთ უმტკიცესობა».

# ახალი ამბავი

*** 11 და 12 მარტს ორს გასართობს საღამოს ჰპირდებიან ჩვენს საზოგადოებას. 11 მარტს, შაბათს, იქნება გამართული წარმოდგენა და კონცერტი არტისტის კ. ყიფიანისა და ბალანჩივაძის მიერ, ხოლო 12 მარტს ბ-ნ ალნიაშვილის ხორო გაჰმართავს თავისს კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ახლად შედგენილი ქართველ მომღერალ ქალთა დასიცა. შაბათის კონცერტში, როგორც განცხადებაშიაც არის გამოცხადებული დღეს, მიიღებს მონაწილეობას აქაური მომღერალი ქალი ამიროვისა და ბ-ნი რატილი, რომელთაც კარგის მომღერლების სახელი აქვთ ტფილისში. ბ-ნ ალნიაშვილის ხოროს სიმღერებიც დიდი ხანია არ მოუსმენია ჩვენს საზოგადოებას და ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ საერო სიმღერებისა და მოტივების მოყვარულნი დიდის სიამოვნებით დაესწრებიან ამ კონცერტსაც 12 მარტს, მით უმეტეს, რომ მომღერალ ქალთა დასის შედგენა სრულიად ახალი საქმეა ჩვენში.

*** სამშაბათს საღამოს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოჰხდა ჩვეულებრივი კრება. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ვ. ნ. გეევსკი: სხდომაზედ საზოგადოების კორრესპონდენტად ამორჩეულ იქმნა ბ-ნი იზმაილოვი. შემდეგ თავ. ვეზირიშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენება შესახებ ნიადაგის მოქანცვისა*). მიწა იქანცება მცენარეთაგანაო. ერთ-გვაროვნობის მცენარე თუ დიდხანს ჰხარობს ერთსა და იმავე ალაგზედ, ჰლღის, ჰქანცავს მიწას, ასე რომ ამ გვარ დაქანცულ ნიადაგს სასუქიც-კი ველარ შველის ხოლმე, დრო, დახანება-კიო. ამის მაგალითები მრავალი მოიყვანა ვეზირიშვილმა. ამიტომაცაო, თუ გვსურს ავიცილოთ ვაზის სამუდამოდ გადაშენება, ამოთი-დრო ვაზი ერთ ადგილიდგან მეორეზედ გადავაშენოთ, რათა საევენახე ადგილმა ისევ მოიგროვოს ძალა, და რათა ჭია-ღუა, რომელიც ვაზის ფესვებზედ იყო წინანდელს ადგილას გამრავლებული, ამოწყდეს. აქ ლექტორმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითები თავის ნათქვამის დასამტკიცებლად და აგრეთვე თავისი მოსაზრება შესახებ იმისა, თუ რა ნაირად შეიძლება ვაზის გადარგვა-გადანერგვა ნიადაგის დაქანცვის შემდეგ.

*) ნიადაგის მოქანცვას საინგილოში გაყირტიშებას (ყირტიში) ეძახიან.

*** მღვდელი მამა მიხ. ხელაევი, გამგე თელავის სატუსაღოს წიგნთსაცავისა, გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი წერილი: «ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა თელავის მაზრის უფროსს, თავ. ნ. ჩოლოყაშვილს, მღვდელს იოანე შიუკაშვილს, ბ-ნ ვასილ კიკნაძეს და სოსიკო მაჭავარიანს, რომელთაც შემოსწირეს თელავის საპატიმრო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ რამდენიმე სხვა-და-სხვა წიგნი და წიგნაკი. მაჭავარიანმა წიგნებს გარდა შემოსწირა დაფები, კარანდაშები და სხვ. ჩემის მხრითაც შევსწირე რამდენიმე წიგნი. ყველა წიგნი შეტანილია ნუსხის დავთარში. არ იქნებოდა ურიგო, რომ ვინც-კი თანაუგრძნობს ამ ახლად დაწყებულს საქმეს, შეძლებისამებრ ხელი მოგვიმართონ.

*** **კავკავი:** კავკავის ქართულის სკოლის სამზრუნველო კომიტეტს ამ დღეებში სხდომა ჰქონდა და ამ სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ჰქონდათ, რომ სკოლისათვის საკუთარი სახლი შეიძინონ. თუმცა საშუალება იმდენი არა აქვს, რომ სახლი იყიდოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ფულის სესხებას აპირებს კერძო კაცისაგან და მერე რომელსამე საადგილ-მამულო ბანკში დააგირავოს იმ იმედით, რომ ის ქირა (400 მან.), რომელსაც სასკოლო სახლში დღეს იხდის, რამდენისამე წლის განმავლობაში ვალს გადაუხდის და მერე სახლი საკუთრებად დარჩება. თუ ეს აზრი შესრულდა, მაშინ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ კავკავის ქართულს სკოლას მკვიდრი საძირკველი აქვს.

*** **სოფ. კასპი:** ამ დღეებში ძლიერ დიდი წყალი მოვარდა. მდ. ლეხურა მეტის-მეტად გაგიჟდა და ვეებერთელა ხეები მოჰქონდა ძირიანად მოგლეჯილი. თვით კასპში რამდენიმე ვენახი მოგლიჯა.

*** კავკასიის მთავარ-მართებელს, როგორც გაზეთი „კავკაზი“ გვატყობინებს, მიუმართავს უმაღლესის მთავრობისათვის და უთხოვნია, რომ ის დამნაშავენი კავკასიის მკვიდრთაგან, რომლებიც ციმბირში იგზავნებიან და იქიდგან კავკასიაში მალულად ბრუნდებიან, შეპყრობისათანავე სახალინის კუნძულზე იგზავნებოდნენ და ამ საშუალებით მოესპოთ საშუალება უკანვე დაბრუნებისა და გამოქცევისაო. ეს ზომა იმითი არის გამოწვეული, რომ ციმბირიდგან გამოქცეულნი კავკასიაში ბევრს ავ-კაცობასა და ავაზაკობას სჩადიან.

*** 6-ს ამ თთვისას, მეშვიდე განყოფილებაში, ნორიოს ქუჩაზე, სამს ცოფიანს ძაღლს დაუკბენია: რვა წლის პატარა ქალი სამსახურიდგან გადამდგარის უნტერ-ოფიცერის სოკოლოვისა, მარია ლობოვისა, შვიდის წლისა, სამის წლის ვაჟი და ხუთის წლის ქალი სოფ. ასურეთის მცხოვრებისა—ნიკოლოოზ და ევა ზენდერი, სპარსეთის ქვეშევრდომის შვილი რვა წლის არშაკ შახნაზაროვი, კანცელიარიის მსახურის ყმაწვილი ექვსის წლისა ევგენი ლემანი და სოფ. ხაშმის მცხოვრების ლოლაძის ყმაწვილი ჩვიდმეტის წლისა. ყველა ეს დაკბენილი ყმაწვილი და მოკლული ძაღლები გაჰგზავნეს ტფილისის საბაქტეროლოგიო სადგურზე ძაღლები გაუჭრიათ და აღმოუჩენიათ, რომ ცოფიანები ყოფილან.

*** 8-ს ამ თთვისას, ღამით, მეშვიდე განყოფილებაში საეჭვო ყოფა-ქცევის ქალის ეკატერინე ოსლიკოვის სადგომიდგან მოუპარავთ სხვა-და-სხვა ნივთი, სულ 31 მანეთისა. ქურდს ფანჯარა გაუტეხნია. დამნაშავე ტფილისის მცხოვრები ექვთიმე მედინცევი პოლიციას უკვე შეუპყრია და უპოვიათ აგრეთვე ზოგიე თი ნივთიც.

*** 7-ს ამ თთვისას, მერვე განყოფილებაში, ტფილისის მოქალაქე ნიკოლოოზ ლაზარევი, როცა მთვრალი იყო, წაეჩხუბა თავისს პატრონს, ხარაზს დიმიტრი ოვჩინიკოვს და დანით დასჭრა ოვჩინიკოვი სამს ალაგას. ოვჩინიკოვი გაგზავნეს მიხეილის სამკურნალოში. საქმე სწარმოებს.

*** 8-ს ამ თთვისას, პირველს განყოფილებაში, ტფილისის მოქალაქეები—ძმანი პეტრე და დიმიტრი ჩურიკოვები სიმთვრალის დროს ერთმანეთს წაეჩხუბნენ. პეტრემ დასჭრა თავისი ძმა ოთხს ალაგას ზურგსა და ხელში. დაჭრილი გაგზავნეს სამკურნალოში. დამნაშავე შეპყრობილია.

---

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ გუშინწინდელს ნომერში (№ 49), რომელშიაც არის დაბეჭდილი კორრექტურულ შეცდომების შესწორება ბ-ნ ს. ხუნდაძის პასუხზედ, შემდეგი შეცდომაა ზმნის „ჰგავს“ შესახებ. დაბე დილია: „მაშ, დანარჩენი პირები იქნებიან: „გგავს, მგავს“. უნდა იყოს: „მაშ დანარჩენი იქნება: გგავს, მგავს“.

## ტარტაკოვის კონცერტი

გუშინ *) საღამოზედ არტისტმა ტარტაკოვმა გამართა კონცერტი არტისტიულის საზოგადოების დარბაზში. მონაწილეობას იღებდა ქალბატონი ზარუდნაია-ივანოვისა. სხვა ვინმე მგალობელი კონცერტში არავინა რეულა...

ქალბატონი ზარუდნაია კაი ხანია სრულის სამართლიანობით ითვლება ტფილისში პირველ მომღერალ ქალად. ტარტაკოვმაც მოკლე ხნის განმავლობაში დაიმსახურა პირველის არტისტის სახელი. ადვილი მისახვედრია, რომ სადაც ამისთინა გამოჩენილი მომღერლები მღერიან და მათ სხვა არავინ უშლის ხელსა, კონცერტი უნდა გამოვიდეს ჩინებული, სამაგალითო. მართლაც ამ კონცერტმა ბევრით მოგვაგონა ის მშვენიერი კონცერტი, რომელიც რამდენისამე წლის წინად გამართეს ტფილისში არტისტმა ქალებმა: ფრიდემ და ტერიანცისამ. კონცერტმა მშვენივრად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებას აგრძობინა უწმინდესი და უმაღლესი სიამოვნება. საზოგადოება ბლომად დაესწრო, დარბაზი თითქმის სავსე იყო, თუმცა იმავე საღამოს ტფილისის თეატრში ათინიდამ ჩამოვიდა ფრანგის გამოჩენილი დასი და ადგენდა ოპერეტკასა, რომელიც, როგორც სრულიად ახალი, უცნობი და ტკბილი ხმალი, ისე უნებლიედ იზიდავს ტფილისის საზოგადოებას. რამდენი მიმზიდველი ძალა აქვს გალობას ზარუდნიასასა და ტარტაკოვისას, ცხადად დამანახვა ერთმა შემთხვევამ. ჩემს გვერდით, კონცერტის დაწყების დროს, დაჯდა ერთი შორეული ნაცნობი, რომელსაც ციებისაგან აბაბანებდა. ვკითხე, რა მოგარბენინებდა ციებისაგან ძაგძაგით ატანილსა მეთქი, და მან მიპასუხა: განა ხშირად მოევსწრებით ხოლმე იმისთანა შემთხვევას, რომ ორი ბულბული გალობდეს და მათ ხელს არ უშლიდნენ ყვავები და კაჭკაჭები?..

ორნივე მომღერალნი კარგს გუნებაზედ იყვნენ, ხმები თავისს დონეზედ უდგათ და სრულად გულითა და ხალისით მღეროდნენ. საოცარმა სიფაფუკემ ქალბატონის ზარუდნაიას ხმისამან, იმ სიფაფუკემ, რომელსაც ქართულად ნაღების ხმა ჰქვიან და რუსულად ხავერდისა, ამ საღამოს იჩინა თავი თავისი მთელი სიმშვენიერით. არც ერთს ადგილას, არც ერთს წამს ამ ხმას სამაგალითო სიფაფუკე არ შემცირებია ოდნავადაც, არ შეჰფერხილებია; იგი მიმდინარეობდა ერთისა და იმავე დამატკბობელი, მომხიბლავი სინაზით, როგორც ერთს ნაირად მოწანწკარობს თავისს სწორე კალაპოტში მთის წყარო, ერთს ნაირს დაღმართზედ დაქანებული. მეორე იშვიათი ღირსება ამ მაღალ-პატივცემულის მომღერალის ქალის გალობისა— მეტყველება ხმისა გვაგონებდა ზარბის გალობასა, რომელსაც ევროპიელს მომღერალს ქალთა დასში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს და რომელმაც წარსულს შემოდგომაზედ სამი თავისი კონცერტით ტფილისში დასტოვა ამოუშლელი შთაბეჭდილება, კვალი. როდესაც ქალბატონის ზარუდნაიას სიმღერას ვისმენდი, უნებ-

*) ეს წერილი ორშაბათსვე მოგვივიდა, მაგრამ დაბეჭდვა ვერ მოვასწარით.

---

საქართველოს სამღვდელოება ადრევე სცდილობდა ხალხში მოესპო ეს ცრუ-მორწმუნოებანი. ძველი ხელთნაწერი (941 წლისა) თვის მე-53 მუხლში ამბობს: „სჯულის კანონს ეწინააღმდეგებიან იგინი, რომელნიც მისდევენ მისანთა და გრძნეულთა, ლეგეონთა და ასის-თავთა: რომელნი ბედსა უთხრობენ, შობის დღესა და მარტის თთვესა იზმნიან, კალანდობენ, შეულოცვენ; რომელნი არიან ღრუბელთა მაოტებელი, ქართა მყრელნი და ბჭესა მხედველნი; მუცლით საუბრობენ და ცეცხლსა აგზნობენ, მსგავსად წარმართთა, სახლის წინ ყრმათა საცდუნებლად. რომელნი ითვისებენ საწარმართო სახელ-წოდებას, რომელ არიან: აპოლონ, არტემი, ბუჩი, გაცი, გაიმ, დაგეონ და არმაზ“.

ყველა აქ მოხსენებულ ხელოვნებათა დასაბამი აქვს ველურს ხანაში; „ქარის ყრა“ დღეს ჩვენში ხომ გაუგებარია, მაგრამ იმ დალოცვილ დროს იგი ხალხს მისანთა საშინელ მოქმედებად მიაჩნდა. ინგლისის მენავეთა დღესაც სწამთ მათი ძალა გამოსაწვევად ქარტეხილთა (ტეილორი). ჩვენში რომ ალაგზნებენ ცეცხლს და ზედ გადაახტუნებენ ქალ-ვაჟთა — ავ-ზნე აღარ მოგეკარებათო, იგივე ჩვეულება ვარდნა, აქაც საჭიროა, რომ დროება ფრიად ძველის დროისაა და ბევრგან მოიპოვება ინგლისში (და ჩვენშიაც). ყრმას ეტყვიან ხოლმე „მარცხენა ფეხზე ხომ არ ადექიო“. ამისი აზრი ეხლა ხალხში დაკარგულია, მაგრამ წინად ხალხს მარცხენასა და მარჯვენასთან შემეცნებული ჰქონდა სათნოება და ბოროტება. ამიტომაც მარცხენა ფეხზე ადგომა ჰნიშნავს დღის ცუდად გატარებას, მთელ დღეს ჯავრიანად, ავ-გუნებაზედ ყოფნას.

„ცხვირის“ მოსვლაზედ სიცოცხლის სურვება აგრეთვე წარსულის ნაშთია. ეს ჩვეულება დაცულია ყველა ხალხებში, განათლებულებშიაც და ველურებშიაც, ყველგან ჩვენსავით, ცხვირის დამცემინებელს ეტყოდნენ: „გაიზარდე“, „იცოცხლე“, „ღვთის წყალობა“. ქრისტიანებში ზოგიერთნი პირისახეზედ პირჯვარსაც გამოიწერენ ხოლმე. ამისი დასაბამი იქიდგანაა, რომ ხალხს სწამდა, ვითომ არსებობენ მავნენი, რომელნიც ადამიანის სულის (სუნთქვის) მაგვარად შედიან კაცში, ავადმყოფში და დიდად აზნევენო. ეს მავნენი გამოიწვევენ ცხვირის დაცემინებასაო. დღეს მკითხავები რომ მისნობის დროს ხშირად ამთქნარებენ, იმისი თქმა უნდათ, რომ ზეგარდამო შთამგონებელი სული მოგვევლინაო. „ცხვირს“ დიდი გავლენა ჰქონდა ძველად. მასზე იყო დამოკიდებული ჯართა გამარჯვება, ქვეყნის ხსნა, ან წაწყმედა. ჩვენში ორი «ცხვირი» კეთილის მომასწავებლად მიაჩნდათ და ზოგს დღესაც მიაჩნია, ერთი-კი — უბედურებისა. არც ევროპაში გადავარდნილა იგი ცრუ-მორწმუნება. ამ საუკუნეშიაც გვხვდება საოცარი მაგალითები წარსულის დროისა, როდესაც სწამდათ, რომ არა თუ მავნე აზნევებს კაცსა, არამედ მის ნაქმარსა, მის შენობასა, სახლსა და სხ.

შოტლანდიაში გავრცელებულია ლეგენდა, რომ პიკტნი ისტორიის წინა დროში თავის შენობათა საძირკვლებს რწყავდენ კაცის სისხლითაო. იგივე ლეგენდა ამბობს, რომ წმინდა კოლუმბმა თვისი მონასტერი იმ დრომდე ვერ ააგო, მინამ მის საძირკველს არ დაატანა წმ. ორანიო, რადგან რასაც დღისით ააშენებდა, იმას ღამე ბოროტი სულები ანგრევდნენო. 1843 წ. გერმანიაში გალლის ხიდის აშენების დროს ხალხში ხმა იყო, რომ აუცილებლად საჭიროა ხიდის საძირკველს ყმაწვილი ჩაატანონო. 1463 ნოგატში ცოცხალი კაცი ჩაატანეს კედელს. ტიურინგიაში, ლეგენდის თქმით, ციხეს აშენებდნენ. მის სიმაგრისათვის ჩაატანეს ერთი ყმაწვილი, რომ ცოტა მოაშენეს, ყმაწვილმა უთხრა დედას: „დედა კიდევ გხედავ“. შემდეგ: „ცოტათი-ღა გხედავ“ და ბოლოს: „სულ ველარა გხედავ“.

მრავალია ამისთანა მაგალითები ისტორიაში. ამ ნაირი ლეგენდა ჩვენშიაც არსებობს. მოიგონეთ სურამის ციხის აშენება, მასში ზურაბის ჩატანება და დედა-შვილის გამობაასება. „ვაიმე, შვილო, სადამდის?“—ვაიმე, დედა, მუხლამდის.—ვაიმე, შვილო, სადამდეს?—ვაიმე, დედა, მუცლამდის.—ვაიმე, შვილო, სადამდის?—ვაიმე, დედა ყელამდის.—ვაიმე, შვილო, სადამდეს?—ვაიმე, დედავ, გავთავდი.“

ამ გვარ რწმენისა გამო განათლებულ ერთა შორის გავრცელდა „ადამიანის“ მაგიერ საძირკვლებში ფულისა და ჭურჭლის ჩატანება მავნეთა მოსაშორებლად. ეს ჩვეულება ბევრგან დღესაც არის.

შესანიშნავია ძველის ძველადგანვე კაცობრიობაში გავრცელებული, დღესაც ზოგიერთგან ისევ მტკიცე სჯულად მიჩნეული რწმენანი შესახებ იმისა, რომ ყოველს „უსულო“ საგანშიაც მკვიდრობს სული, მავნე, მაშასადამე ეს „უსულო“ საგნებიც სცხოვრობენ ვითარცა სულიერნი. ამ რწმენაზედ უძველეს დროებიდგან აშენდა მთელი ძველი სარწმუნოება თავის ღმერთებით, თავის მოგვრობით. კაცი რწმენამ, მიხედვისამებრ სარგებლობისა და ვნებისა, ყოველივე ბუნებაში დაჰყო მავნედ და კეთილად. შეიქმნა გაძლიერებული კერპობა. მრავალგან გაჩნდნენ ღმერთნი მთვარისა, მზისა, ვარსკვლავთა, კაცთა და ცხოველთა. საჭირო შეიქმნა საღმთო, მსხვერპლი ღმერთთათვის, რომ მათ მოეხედნათ კაცობრიობისათვის, შეებრალათ, შეეწყალათ და გაებედნიერებინათ. უკეთეს, ყველაზე საამო მსხვერპლად ყველგან მიღებული იყო შეწირვა ყრმათა, ჩვილთა. უსისხლოდ ღმერთნი არა ღმერთობდნენ.

ჩვენშიაც, როგორც ვიცით, მრავალი ღმერთები იყვნენ აღმართულნი. ღმერთები დიდ პატივში ჰყავანდათ ქართველებს. მათ სწირავდნენ ხილეულობას, მაწონს, ერბოს, შოთებს, ფულს და სხ., უკმევდნენ სურნელოვან ბალახს. ძველს დროს უკეთეს საღმთოდ აქაც მიაჩნდათ ჩჩვილთა შეწირვა და თუ დავუჯერეთ „ქართლის-ცხოვრებას“, ადამიანის შეწირვა აღკრძალა მეფემან რევ (186—213).

საინტერესოა აქ დავასახელოთ ზოგიერთნი კერპობის დროინდელი წესნი, დღეს ჩვეულებად გადაქმნილნი, რომელნიც არსებობენ მთელს მსოფლიოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიეთ ვადარებდი ბარბის სიმღერასა. და იმ დასკვნამდინ მივედი, რომ თუ ბარბის სიმღერა სხვა-და-სხვა ფერობით და სკოლით აღემატება ზარუდნაიასასა, სამაგიეროდ ჩვენი არტისტკა აშკარად მაღლა სდგას ხმის იშვიათის სიფაფუკით, გულიანობით, გრძნობის სიღრმით.

ტარტაკოვი გაწრთვნილი მომღერალია, კარგი სკოლა გამოუვლია, ერთფერობას ვერ შევწამებთ და მდიდარის ხმის პატრონია. მაგრამ ეს სიმდიდრე ხმისა ყოველ-მხრიული არ არის. მისს ხმას მდიდარი სიმღლე აქვს და მდიდარი სიგანიერე, მაგრამ სიღრმე-კი აკლია, ამიტომ იმისი სიმღერა სასიამოვნოა, ტკბილი, ზომიერი გრძნობების ამშლელი, მომგვრელი და უთუოდ ამიტომაც ქალებს იგი ძლიერ მოსწონთ. სამაგიეროდ მისი სიმღერა ნამდვილს აღტაცებას ვერ გამოგაცდევინებთ, ღრმად არ შესძრავს თქვენს გულსა, ციებ-ცხელებას ვერ დაჰბადებს თქვენს ნერვებში, ქარიშხალსა და ღელვას ვერ გააჩენს თქვენს ბუნებაში და უძლეველი ძალით ვერ აგიტაცებსთ მაღალ გრძნობათა სფეროში. ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარი ღირსება სიმღერისა ბევრს არა აქვს მინიჭებული, იგი კუთვნილებაა პირველის ხარისხის რჩეულთა. ერთი რამ ძლიერ ხელს უშლის ტარტაკოვის სიმღერას: მისი პირისახის უცნაური მდგომარეობა. პირისახე არტისტს უნებლივ უცინის, მეტადრე გათავების დროს. იგი სრულიად არ ემორჩილება მის ნებასა და გრძნებასა და თავისს ქეიფზე დადის. აი არტისტმა გაათავა რომელიმე სამწუხარო ხმა; ის სცდილობს, საშინლად სცდილობს არ გაიღიმოს, მაგრამ პირზედ უნებლიედ საიდგანაც ამოირბინა წყეულმა ღიმილმა დაუპატიჟებლივ, დაუძახებლივ; არტისტი სცდილობს ეს დაუპატიჟებელი სტუმარი საჩქაროდ თავიდგან აიშოროს, კიდეც იშორებს რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ ვაი იმ გაშორებასა. მის მაგიერად პირისახეზედ უჩნდება მეორე დაუპატიჟებელი სტუმარი: ბავშური სამტირალო მდგომარეობა. სერიოზული დარბაისლობა-კი, რომელსაც ნატრობს არტისტი, მისს პირისახიდგან შორს არის. ტარტაკოვი ამ მდგომარეობაში გაგონებთ ვიქტორ ჰიუგოს ერთს გმირსა, რომელსაც პირის სახეზედ სწორედ ის გრძნობა ეხატებოდა, რომელიც მას არ უნდოდა და რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის გულის მდგომარეობას.

მომღერლებს ერთი გარემოება ძლიერ უშლიდათ ხელს, სახელდობრ დარბაზის უხერხულობა არტისტიულის საზოგადოების დარბაზი სწორედ უკუღმართად არის აგებული. იგი არამც თუ ხმას არ აძლევს, ასრედ წოდებულს რეზონანსს მოკლებულია, არამედ ხმას წინიდგან უკან აბრუნებს, საზოგადოებიდგან კულისებისაკენ მიაქვს. მიუხედველად ამ დაბრკოლებისა, კონცერტმა, როგორც მოვიხსენიეთ, მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელთა გონებაში და არა ჩვეულებრივი სიამოვნება და სიტკბოება აგრძნობინა მათს გულსა და საზოგადოებამაც უგულითადესი მადლობის ნიშნად დააჯილდოვა მომღერალნი მხურვალე ტაშის კვრითა, რომელიც გაისმოდა ყოველ სამღერლის გათავების შემდეგ.

იაკობ სვიმონიძე

# უცხოეთი

სერბია. გაზეთები ბევრსა ლაპარაკობენ ამ ჟამად სერბიაზე. მეფე მილანის საქმემ აალაპარაკა ყველა. 21 წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც მილანი სერბიის მმართველად გახდა. რადგან მაშინ მცირე-წლოვანი იყო, რეგენტებს ჩაჰბარდა გამგეობა ქვეყნისა. 4 წლის შემდეგ მილანი სრული წლოვანი შეიქმნა და თვით იტვირთა მართვა სამთავროსი. ათის წლის შემდეგ ევროპის ნება-რთვით სერბია სამეფოდ გადიქცა და მილანმა მეფობის ღირსება და ხარისხი დაიმკვიდრა. მას უკან აგერ შვიდი წელიწადია, რაც მეფე მილანი განაგებს სამეფოს. ამ ხნის განმავლობაში და წინადაც ბევრი გაჭირება გამოიარა ნორჩმა და მცირე სახელმწიფომ, რომელშიაც ძლივს ორი მილიონი ხალხია. ყველა, ვინც ძლიერი იყო, სერბიას უშტიალებდა და აშინებდა. პირველში სულ დამოკიდებული იყო და სხვის ნებას ემორჩილებოდა ოფიციალურად, მერე კიდევ თუმცა დამოუკიდებელი სამეფო შეიქმნა, მაგრამ მაინც ხან ვინ წაატანდა ხელს და ვითომ მფარველობდა თავის სარგებლობის გულისათვის, ხან ვინ. ბოლოს ხომ ავსტრი-ვენგრიამ ჩაიგდო ხელში და ისე ჰმართავდა მის შინაგანსა თუ გარეგანს პოლიტიკას, როგორც თვით ჰსურდა. 1886 წელს ომი მოუხდა სერბიას ბოლგარიასთან. ამ ომის მიზეზიც ნახევრობაზე ავსტრი-ვენგრია იყო. ომი, საუბედუროდ, გადასწყდა სერბიისათვისა, რომელიც სრულიად არ მოელოდა დამარცხებას ისეთის ნორჩის სამთავროსაგან, როგორიც ბოლგარიაა. ამ დამარცხებამ ძალიან იმოქმედა მილანზე, რომელსაც თავისი ერიც გაუგულგრილდა. მაშინვე, თუ არ ადრე გადასწყვიტა მილანმა ხელი აელო ტახტზე. დედოფალ ნატალიასთან უსიამოვნებამ ხომ სულ გაუტეხა სახელი მეფეს და დაარწმუნა, რომ ერთად ერთი სახსარი მშვიდობიანად გადარჩენისა უარ ყოფა შეიქმნა ტახტისა. ამ ღონის-ძიებით უნდოდა მოეგო კვლავ გული ერისაცა, რომელსაც ამასთანავე ახალი, უფრო ლიბერალური კონსტიტუცია მიანიჭა, და იმ მძლავრის სახელმწიფოებისაცა, რომელიც ემდურებოდნენ და უსაყვედურებდნენ გარეშე პოლიტიკას მიმართულებისათვის. მეორე დღესვე, ტახტის უარ-ყოფის შემდეგ, მილანმა მიჰმართა თავის ერს მანიფესტით და გრძნობით სავსე სიტყვებით აუხსნა რა მიზეზების გამო ვანებებ თავს ტახტსაო. ახალი დრო დგება და მე-კი ჩემი ძალა და ღონე შევალიე იმ ძნელსა და მძიმე საქმეებს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჰქონდა გადასაწყვეტიო. ახალს დროსა და ახალს საქმეებს ახალი ძალა და მხნეობა უნდა. მე ეგ ძალა და მხნეობა აღარა მაქვს და ამიტომ ტახტს ვაძლევ ჩემს მემკვიდრეს, ჩემს მცირე წლოვანს შვილს, ალექსანდრესაო. მოუარეთ იმასაც, შეიყვარეთ და შეიტკბეთ ისე, როგორც მე ჩემის მცირე-წლოვანობის ჟამსაო. რაც გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში კარგი, თქვენის შემწეობითა და მომხრეობით გაკეთდა. ამისთვის გმადლობთ. ხოლო რაც მარცხი მოგვივიდა, პასუხის გება კერძოდ მე მიტვირთნია ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე. უერთგულეთ თქვენს ახალს მეფეს. მეც ერთი მისი უქვეშევრდომილესი ყმა ვიქმნებიო. ვნიშნავ რეგენტებად და სახელმწიფო საქმეების გამგეებად მამულის მოყვარე კაცებს, რომელნიც ბევრჯელ არიან ნაცადნი, დიდად გამოცდილნი და დაბრძენებულნი სახელმწიფო საქმეების მართვაშიო.

მეფის უკანასკნელის სიტყვის შემდეგ მეორე დღეს სარეგენტომ მიჰმართა ერს თავისის პირველის სიტყვით.

# წვრილი ამბები

ამას წინად ბერლინში უდღესასწაულნიათ გამოჩენილის რომანისტის შპილჰაგენის დაბადების დღე, რომელსაც ეხლა უკვე 60 წელიწადი შეუსრულდა. ამ დღესასწაულზედ 400-მდე შეიკრიბა ქალი და კაცი, რომელთა შორის ლიტერატორებს გარდა სხვანიც ბევრნი იყვნენ თურმე. კარლ ფრენცელს სიტყვა წარმოუთქვამს და გამოუცხადებია: იუბილიარი თავ-გამოდებული მებრძოლია თავისუფლებისა და სიმართლისათვისაო. ამ სიტყვის პასუხად შპილჰაგენსაც სიტყვა წარმოუთქვამს და თანაგრძნობისათვის მადლობა გამოუცხადებია. ბოლოს დაუმატებია: „მე ყოველთვის გულმოდგინე მშრომელი ვიყავი და ამასთან ოცნების მოყვარულიო“. ამ სიტყვებით აღნიშნა თურმე გამოჩენილმა მწერალმა, რომ იდეალისტური მიმართულებისა ვარო.

— ემილ ზოლას უკვე დაუწყია რკინის გზით სიარული, რათა შეჰკრიბოს მასალა და სხვა-და-სხვა ცნობები თავისის ახალის რომანისათვის. ამ რომანში რკინის გზა და სასამართლონი იქნება აწერილი. მოთხრობაში მოყვანილია ამბავი ერთის დედაკაცისა, რომელსაც რკინის გზაზედ ჰკლავენ.

— ვეიმარში დაუარსებიათ ახალი საზოგადოება საუკეთესო ნაწერთა და თხზულებათა გასავრცელებლად ხალხში. სხვა-და-სხვა დასის წევრნი შეერთებულან, რათა ხალხს რიგიანი ჭკუის საზრდო მიაწოდონ, უნდათ გამოსცენ საუკეთესო რომანები და მოთხრობები და სულ იაფ ფასად ჰყიდონ.

— ედისონს ახალის საქმისათვის მიუყვია ხელი. ეს ახალი საქმე ის არის, რომ რკინის გზის ორთქლ-მავალის საშტვენი როგორმე შესცვალონ. ედისონი ორთქლ-მავალისთვის ამზადებს თურმე ახალს მანქანას, რომელიც ნაქუსსავით წარმოსთქვამს სიტყვებს. მაგალითებრ, გვირაბთან მატარებლის მიახლოვების დროს მანქანა იგი მაღლის ხმით ჰყვირის „გვირაბითაო“ და ეს ხმა გაისმის მატარებლის ყველა ვაგონებში. ერთის სიტყვით, ეხლანდელის სტვენის მაგიერ მანქანამ სიტყვები უნდა წარმოსთქვას და მგზავრთ გარკვევით გააგებინოს მნიშვნელობა სტვენისა.

— ამას წინად ამერიკის ერთს ქალაქში წარმოუდგენიათ თურმე დიუმას პიესა: „La dame aux camelias“-ი. მეორე დღესვე რეცენზიის სახით ერთს გაზეთში გაურჩევიათ ეს პიესა. წერილის ბოლოს შემდეგი სიტყვები იყო თურმე მიმატებული: „უკანასკნელს მოქმედებაში მარგარიტა გოტიე ჭლექით კვდება. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ეს ამბავი-კი არ მოხდებოდა იმ დროს, რომ ტამპსონის ბადაგი ესმარა. ეს ტამპსონის ბადაგი ბოთლი მანეთ-ნახევრად იყიდებაო“. რეცენზენტს კარგი ქრთამი უნდა აეღო ბ-ნის ტამპსონისაგან ასეთის ქებისათვის.

— შვეიცარიაში ერთს მეწისქვილეს, რომელსაც მდ. ვიგერზედა აქვს წისქვილი, ასირებული საქმე დამართა თურმე. ეს მდინარე ცნობილია იმითი, რომ

---

კმევა სურნელოვანებათა სულთა საამო საგნად მიაჩნიათ. ამიტომაც ყველგან და სხვათა შორის მექსიკაში დღესაც არსებობს ჩვეულება ნიშტაძარში სამღთოს შეწირვა და სურნელოვანებათა დაწვა. საკვირველი ის არის, რომ მათ ენაზედაც ამ სურნელოვანებას ჰქვიან „კოპალი“, რომელიც ჰნიშნავს ხის-წებოს. შესაძლებელია, რომ ფშავეთა „კოპალას“ დასაბამი ჰქონდეს ამ ძველს დროში.

თვით საფლავების თხრა-მიმართულებაც საწარმართო და საქრისტიანო დროს და ეკკლესიათა მდებარეობასა აქვს აგრეთვე თავისი მნიშვნელობა. უძველესს დროს მზის ჩასვლის მხარე მიაჩნდათ სიკვდილის, წარწყმედის მხარედ, ხოლო აღმოსავლეთისა სიცოცხლის მომნიჭებლად, რადგან დიდებული ღმერთი (მზე) იქ სცხოვრებდა, იქიდგან იბადებოდა. ამ რწმენამ ორ-გვარი მიმართულება მისცა თვით საფლავსაც. ზოგნი მკვდართ ჰმარხავდნენ და დღესაც ჰმარხავენ დასავლეთიდგან აღმოსავლეთისკენ პირმიქცეულად, რომ მკვდარი ადვილად აღდგეს აღმოსავლეთისკენ, სხვები-კი დასავლეთისკენ პირ-მიქცეულად იმიტომ, რომ გვამი ადვილად წავიდეს დასავლეთში მდებარე „სასულეთში“. ჩვენში და ყველა ქრისტიანებში მკვდრებს, როგორც ვიცით, ჰმარხვენ პირველ სახით. აგრეთვე ეკკლესიებსაც ამ გვარადვე აგებენ.

ძველის დროის ნაშთებს ეკუთვნიან აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი სათამაშოები, ზოგიერთი ჩვენი ზნენი და ჩვეულებანი. საკვირველი ის არის, რომ ყველა ჩვენს ზნე-ჩვეულებათა გამოუვლიათ მრავალი საუკუნო და დღეს ზოგიერთი მათგანი ხალხს სრულიად დაუვიწყნია, ზოგი-კი ან ისევ ძველის სახით არსებობს, ან გადასხვაფერებულად.

მაგ., აპ. როდოსელი ჩვენის ქვეყნის აღწერის დროს მოიხსენიებს ადგილობრივს ჩვეულებას, რომელიც გავრცელებული იყო მაშინ დასავლეთ საქართველოში. აქ წესად იყოვო, ამბობს იგი: როდესაც დედანი მოიშობიარებენ, მათ მაგიერ ლოგინად ჩაწვებოდნენ მათნი ქმარნიო, რომელნიც თავ-შეხვეულნი ჰკვნესოდენ ვითარცა მელოგინენი, ცოლები-კი მათ უვლიდნენ, უმზადებდნენ საჭმელსა და თბილ საბანებლებსაო. ეს ჩვეულება დღესაც ამავე სახით დაშთენილა ბევრგან და სხვათა შორის ინდოეთშიაც. იქ დღესაც რჯულთ უმტკიცესს წესად მიღებულია, რომ ქმარმა, ცოლის მაგიერ, მოილოგინოს დანიშნულ დრომდე. ჩვეულება აიხსნება ხალხის იმ გულ-უბრყვილო რწმენით, რომ ვინც არის მთავარი მიზეზი ავადმყოფობისა, ტკივილებისა, იმანვე აიცილოს იგი ტკივილებიო. ამ რწმენის ნატამალი დღესაც გამოითქმის ინგლისელთა ანდაზაში: „ძაღლის ბალანმა გიკბინაო“ (ტეილორი). მაშასადამე, ჰრილობა მკბენარმა უნდა მოგირჩინოსო. და მართლაც, ძაღლის ბალანი ძველ დროს მიაჩნდათ უებარ წამლად ნაკბენის მოსარჩენად. დღეს ჩვენშიაც, ხალხში, ძაღლის ნაკბენს დაადებენ ხოლმე ძაღლისავე ბალანს, მოარჩენსო.

ძველს დროს ეკუთვნიან აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი თამაშობანი. მაგ., „ძერა-დიდია“, „ყმობა“ და სხ. პირველ თამაშობაში გამოიხატება ის დრო, როდესაც კაცთა სამოქალაქო ცხოვრება იყო დამოკიდებული შემთხვევაზე, ძლიერის ნება-ყოფლობაზე, როდესაც კაცთა მოტაცება და ყმევა ჩვეულებაში იყო. ეს თამაშობა შოტლანდიასა და ზოგიერთგან სხვაგანაც დაშთენილა. მეორე თამაშობა-კი უფრო ახალ დროს უნდა ეკუთვნოდეს, იმ დროს, როდესაც ჩვენში წოდებრივი დაყოფა უკვე არსებობდა, მაგრამ გლეხობა, წვრილფეხობა ჯერ მკვიდრად არ იყო შებოჭილი ჩვენ ფეოდალთაგან და ყმას თავისუფლად შეეძლო ამოერჩია თავისთვის ის „ბატონი“, რომელიც ჰსურდა და რომელიც თავის არსებისათვის უკეთესად მიაჩნდა. ჩვენ სიტყვებს ამტკიცებს თვით შინაარსი ამ «ყმობისა», დღეს საუკეთესო სათამაშოდ გადაქცეული ჩვენთა ყრმათათვის. მაგალ., „ჭ“-ზედ (ან სხვა ასოზედ) (ეს ნება-ყოფლობით ამოირჩევა) ვისი ყმა ხარ? ჭავჭავაძისა (ან სხვისა ვისიმე). საიდან მოდიხარ? ჭარიდამ. სად მიდიხარ? ჭერემში. მშვილდი რისა გაქვს? ჭანჭურისა (ან სხვისა რისიმე). ისარი? ჭანდრისა. რას მოჰკლავ? ჭანსა (ან სხვას). რაში ჰკრავ? ჭიპში. ეს სათამაშოდ გადაქცეული ძველი ჩვეულება, როგორც ჰხედავთ, ეკუთვნის უწინარეს დროებას, როდესაც ჯერ ისევ ისარი და მშვილდი ჩვეულებრივ საომარ იარაღად ითვლებოდა.

ჩვენში დაშთენილა ერთი ლექსი (სიმღერა „მოდი ვენახოთ ვენახი“), რომელსაც ალეგორიული, იგავებრივი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ გვარივე ლექსი აქვთ ურიებსაც: „იყო ციკანი, რომელიც შეჭამა კატამ, ძაღლმა კატა“, ასე ჩაჰყვება ბოლომდე. გამარჯვებული რჩება ერთი წმიდანი, რომელიც ჰკლავს სიკვდილის ანგელოზს, ეს-კი ჰკლავს ყასაბს, ყასაბი ხარს, ხარი სვამს წყალს, წყალი აქრობს ცეცხლს, ცეცხლი სწვამს ჯოხს, ჯოხი სცემს ძაღლს, ძაღლი სჭამს კატას, კატა ციკანს“. ალეგორიული აქ ის არისო, რომ ციკანი ურიასტანს ჰნიშნავს, რომელიც გაოხრა ბაბილონმა (კატამ), ბაბილონი-კი გაოხრა სპარსეთმა, სპარსეთი საბერძნეთმა, საბერძნეთი რომმა, იმ დროებაში ურიასტანი დაიპყრა ოსმალმა, რომელთაც განდევნის ევროპის ხალხი და ურიათა სამეფო ისევ აღდგენილი იქნება.

თუ ახსნა ამ ლექსისა მივიღეთ, ჩვენი სიმღერაც იგავად უნდა ჩავთვალოთ. ხოლო აქ დავუმატებ, რომ ეს ლექსი, როგორც დაგვარწმუნა პატივცემულმა იაკ. გოგებაშვილმა, ლექსის ჩამწერმა, დედა-ენაში არ არის დასრულებული, მას აკლია კიდევ დათვი და ფრანგი. ამ სახით გამოდის, რომ ფრანგი სჭამს დათვს, დათვი კატას, კატა თაგვს, ეს მიწას, მიწა ჟანგს, ეს თოფს, თოფი მგელს, მგელი თხას და თხა-კი ვენახს (საქართველოს). მაშასადამე, საქართველოს ხსნას ქართველნი, ვითარცა ურიანიც, მოელოდნენ ფრანგისაგან (ევროპელთაგან). ლექსი ძველ დროს არ უნდა ეკუთვნოდეს, რადგან იქ მოხსენებული თოფი სამი-ოთხის საუკუნის წინად გავრცელდა.

ანდრია

შიგ ოქრო უნდა იყოსო, ბევრი ხანია ეძებს კიდეც, მაგრამ ხარჯი დიდი დასჭირდა იმის მოძებნას და ისევ თავი დაანებეს. ამ მეწისქვილეს ბევრი ბატი ჰყოლია, ამას წინად დაუკლავს ერთი ბატი და დაკლულის კუჭში დიდ-ძალი ლითონი უპოვნია. მადა-გაღვიძებულს მეწისქვილეს ამის გამო ახლა მეორე ბატი დაუკლავს და იმასაც აღმოსჩენია ოქრო, სულ ნახევარ ჩაის კოვზის ოდენა. ეხლა საბრალო მეწისქვილემ არ იცის თურმე, როგორ მოახერხოს, რა გზას დაადგეს, დაჰხოცოს ყველა თავისი ბატი, თუ ცოცხლები შეინახოს, ვითარცა ოქროს-მძებნელნი.

# დეპეშა

8 მარტი

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს დადგენილობა მასზედ, რომ მომატებულ იქმნას ზოგიერთი საფოსტო გადასახადი: წერილებისა და ფასიან პაკეტებისა ერთაშორისი ნიხრი, რომელსაც იხდიან ქაღალდის ფულით და რომელიც დღემდე ხუთი სანტიმია, რუსის ფულზე ორი კაპეიკი იქნება. გადასახადი „პოსილკებზე“ ერთს გირვანქაზე ხუთი კაპიკია ხუთასის ვერსის სიშორეზე; თუ ხუთას ვერსზე მეტია—გირვანქაზე 10 კაპ. თითო ათასს ვერსზე. გზისა და სხვა საფოსტო გადასახადის გარდა, დრომდე უნდა იხადონ თითო ცხენისა ხაზინის სასარგებლოდ 10 კაპ. „პოდოროჟნების“ წესი გაუქმებულ უნდა იქმნას.

„Новое Время“ იუწყება, რომ ამ მოკლეს ხანში რუსეთს მოვა შაჰი სპარსეთისაო. პირველად შაჰი მოვა ჯულფაში. პეტერბურგში შაჰისათვის სადგომი დაუნიშნავთ ხელმწიფის სასახლეში. შაჰი დარჩება პეტერბურგში ორი კვირა, შემდეგ ევროპაში წავა და სპარსეთში დაბრუნდება რუსეთითაო.

ოდესა. ბელგრადიდგან ჩამოვიდა წევრი სახელმწიფო საბჭოსი ვასილიევიჩი. ვასილიევიჩი გუშინ წავიდა გემით იალტაში, რათა დედოფალს ნატალიას ოფიციალურად შეატყობინოს ის ცვლილება, რომელიც სერბიაში მოჰხდა. ვასილიევიჩმა სთქვა, რომ დედოფალს ნატალიას და მიტროპოლიტს მიხეილს უსათუოდ დააბრუნებენ სერბიაში, მხოლოდ ამისთვის ერთ თთვემდე ვადა კიდევ არის საჭიროვო.

ბუდა-პეშტი. აქ მოვიდა მილანი, რომელსაც თან ახლდა ბელგრადელი ელჩი გერმანიისა ბრეი. მილანი ხვალ ესტუმრება იმპერატორს ფრანციოსებს და სალამოს დაესწრება საგვარეულო სადილზე.

ვენა. დედოფალი ნატალია დამდეგს კვირას მოვა ორშოვაში.

სახელმწიფო ბანკის მე-46 ტირაჟში 1 მარტს 1889 წლისას მეორე შინაგანის სესხის ბილეთის ხუთას მანათიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ნომრებს:

| №№ სერიის. | №№ ბილეთ. | №№ სერიის. | №№ ბილეთ. |
|---|---|---|---|
| 8480 | 1 | 18847 | 28 |
| 15300 | 1 | 19373 | 28 |
| 4205 | 2 | 846 | 29 |
| 4663 | 2 | 8848 | 29 |
| 5855 | 2 | 17682 | 29 |
| 9252 | 2 | 18418 | 29 |
| 14248 | 2 | 18514 | 29 |
| 1501 | 3 | 1863 | 30 |
| 4767 | 3 | 8039 | 30 |
| 18467 | 3 | 8582 | 30 |
| 767 | 4 | 9101 | 30 |
| 6347 | 4 | 19549 | 30 |
| 10531 | 4 | 10051 | 31 |
| 12085 | 4 | 11625 | 31 |
| 18770 | 4 | 13288 | 31 |
| 2083 | 5 | 19598 | 31 |
| 7153 | 5 | 12874 | 32 |
| 9935 | 5 | 17552 | 32 |
| 18086 | 5 | 1362 | 33 |
| 9476 | 6 | 3335 | 33 |
| 13897 | 6 | 3492 | 33 |
| 784 | 7 | 11619 | 33 |
| 3221 | 7 | 17845 | 33 |
| 5107 | 7 | 19252 | 33 |
| 7959 | 7 | 1925 | 34 |
| 11586 | 7 | 2157 | 34 |
| 3041 | 8 | 3305 | 34 |
| 8451 | 8 | 3820 | 34 |
| 17407 | 8 | 4344 | 34 |
| 235 | 9 | 8659 | 34 |
| 2638 | 9 | 12925 | 34 |
| 6550 | 9 | 13660 | 34 |
| 7399 | 9 | 15472 | 34 |
| 10322 | 9 | 67 | 35 |
| 11231 | 9 | 8352 | 35 |
| 11234 | 9 | 9594 | 35 |
| 13102 | 9 | 10767 | 35 |
| 13114 | 9 | 10857 | 35 |
| 6485 | 10 | 12584 | 35 |
| 6764 | 10 | 14881 | 35 |
| 10366 | 10 | 16158 | 35 |
| 13576 | 10 | 17215 | 35 |
| 18056 | 10 | 4359 | 36 |
| 6895 | 11 | 5791 | 36 |
| 8947 | 11 | 14105 | 36 |
| 10344 | 11 | 17966 | 36 |
| 3149 | 12 | 675 | 37 |
| 6315 | 12 | 940 | 37 |
| 7122 | 12 | 5896 | 37 |
| 7519 | 12 | 10275 | 37 |
| 13638 | 12 | 10830 | 37 |
| 19059 | 12 | 12775 | 37 |
| 19397 | 12 | 13786 | 37 |
| 973 | 13 | 19974 | 37 |
| 6976 | 13 | 3033 | 38 |
| 12033 | 13 | 3947 | 38 |
| 19375 | 13 | 4225 | 38 |
| 8628 | 14 | 6881 | 38 |
| 13285 | 14 | 8819 | 38 |
| 541 | 15 | 11007 | 38 |
| 1927 | 15 | 19999 | 38 |
| 8073 | 15 | 11507 | 39 |
| 15272 | 15 | 17881 | 39 |
| 17686 | 15 | 1049 | 40 |
| 4553 | 16 | 1809 | 40 |
| 10231 | 16 | 1812 | 40 |
| 19955 | 16 | 1867 | 40 |
| 3721 | 17 | 10475 | 40 |
| 15405 | 17 | 17015 | 40 |
| 17189 | 17 | 79 | 41 |
| 949 | 18 | 250 | 41 |
| 1072 | 18 | 8531 | 41 |
| 10819 | 18 | 11591 | 41 |
| 18242 | 18 | 11605 | 41 |
| 19173 | 18 | 14438 | 41 |
| 2723 | 19 | 14453 | 41 |
| 8913 | 19 | 19042 | 41 |
| 10052 | 19 | 19585 | 41 |
| 15602 | 19 | 4853 | 42 |
| 114 | 20 | 5507 | 42 |
| 3222 | 20 | 6595 | 42 |
| 5625 | 20 | 6719 | 42 |
| 6995 | 20 | 1216 | 43 |
| 7685 | 20 | 1394 | 43 |
| 7703 | 20 | 11237 | 43 |
| 10181 | 20 | 15497 | 43 |
| 12271 | 20 | 16760 | 43 |
| 13699 | 20 | 1508 | 44 |
| 14350 | 20 | 3137 | 44 |
| 17325 | 20 | 12872 | 44 |
| 19549 | 20 | 14946 | 44 |
| 2342 | 21 | 16123 | 44 |
| 12748 | 21 | 7632 | 45 |
| 3641 | 22 | 5263 | 46 |
| 7004 | 22 | 5866 | 46 |
| 9181 | 22 | 9838 | 46 |
| 12176 | 22 | 10286 | 46 |
| 14129 | 22 | 10675 | 46 |
| 14201 | 22 | 12300 | 46 |
| 16179 | 22 | 14861 | 46 |
| 18192 | 22 | 19214 | 46 |
| 2129 | 23 | 4469 | 47 |
| 3205 | 23 | 7744 | 47 |
| 9191 | 23 | 10004 | 47 |
| 9301 | 23 | 11084 | 47 |
| 14099 | 23 | 14453 | 47 |
| 17861 | 23 | 14836 | 47 |
| 68 | 24 | 1583 | 48 |
| 722 | 24 | 4589 | 48 |
| 7571 | 24 | 6351 | 48 |
| 8935 | 24 | 8648 | 48 |
| 10675 | 24 | 8915 | 48 |
| 15490 | 24 | 13645 | 48 |
| 17634 | 24 | 14163 | 48 |
| 1946 | 25 | 19641 | 48 |
| 6144 | 25 | 2202 | 49 |
| 8401 | 25 | 2666 | 49 |
| 15255 | 25 | 9575 | 49 |
| 17036 | 25 | 9807 | 49 |
| 1624 | 26 | 10216 | 49 |
| 3030 | 26 | 10771 | 49 |
| 9423 | 26 | 13806 | 49 |
| 16879 | 26 | 18372 | 49 |
| 8288 | 27 | 8116 | 50 |
| 9771 | 27 | 11386 | 50 |
| 12539 | 27 | 11748 | 50 |
| 17502 | 27 | 11999 | 50 |
| 19134 | 27 | 13809 | 50 |
| 6556 | 28 | 17534 | 50 |
| 8666 | 28 | | |
| 11231 | 28 | | |

ამ ბილეთებით მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგს 1889 წლის 1 ივნისიდგან:

—

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ.

15581, 6782, 2257, 2103, 15441, 1450, 9982, 12423, 8936, 4391, 6754, 1688, 16295, 15796, 3593, 16659, 18434, 8818, 8974, 2359, 14571, 7408, 5817, 10765, 19860, 2571, 17559, 9939, 19229, 14707, 5033, 10891, 14173, 17249, 2799, 8579, 1999, 11202, 14302, 13637, 3329, 6670, 7785, 9240, 5947, 15015, 10863, 9340, 13328, 4434, 5249, 18787, 13525, 4043, 5058, 4839, 9154, 121, 10805, 19170, 702, 1822, 8905, 3393, 19864, 19266, 5509, 3233, 10107, 9866, 8175, 10124, 14405, 10550, 1623, 7894, 2076, 8465, 17363, 11842, 13247, 884, 17452, 19540, 7557, 18664, 14860, 2258.

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება შეიძლება 1889 წლის 1 ივნისიდგან სახელმწიფო ბანკსა და იმის კანტორებსა და განყოფილებებში.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 მარტი

| | მოთხოვნილა. | გამოყიდვილია. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 1 48 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 274¾ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 246½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადად. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

9 დღე ხუთშაბათი. წმ. ორმოცთა მოწამეთა, სევასტიას ტბასა შინა წამებულთა. კათოლ. წმ. კანდიდისა. მაჰმად. ნოვრუზობა. ახალი წელიწადი.—ჭეშმარიტი შუადღე 12—7, ტფილისში მზე ამოდის 6—1, ჩადის 6—14. მთვარე 20 დღისაა.

10 დღე პარასკევი. წმ. მოწ. კოდრატისა. კათოლ. წმ. გერმანისა და 40 მოწ. მაჰმად. მე-20 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში პირველი ქართულის წიგნის მაღაზია დაარსდა, 1878 წ.—ჭეშმარიტი შუადღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—0, ჩადის 6—15. მთვარე 21 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 9 „
„ 2 „ 8 „
სუკი . . . . 16 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 10 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

## განცხადებანი


სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საკუთრივ). უცხო ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—5)



წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველი გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . „ მან. 40 კაპ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ 8-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т.-Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე